თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი!

# დროება

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№21. სექტემბერი-ოქტომბერი 1990 წ. ფასი -1 მანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვ ა ნ დ ა ლ ე ბ ი





19 სექტემბერს. დილის 4-დან 5სთ-მდე დარბეული იქნა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების შტაბ-ბინები, რასაც წინ უძღვოდა შემდეგი მოვლენები:

18 სექტემბრის $19^{00}$ საათისთვის მერაბ კოსტავას ფონდის გამგეობის მიერ დანიშნული იყო ამავე ფონდის სათათბიროს სხდომა, რომელიც მოწვეული იყო ფონდის გარშემო შექმნილი არაჯანსაღი ვითარების გასარკვევად. სხდომას ესწრებოდნენ ფონდის გამგეობის თავმჯდომარე ბ-ნი ვაჟა შერვაშიძე, ფონდის სათათბიროს წევრები /ირ.წერეთელი, თ.ონიანი, ო.გამყრელიძე და სხვები/, აგრეთვე დაინტერესებული საზოგადოება, სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები. სხდომაზე არ გამოცხადდა ფონდის სათათბიროს თავმჯდომარე ბ-ნი ვაჟა ადამია /მიუხედავად მრავალგზის გაფრთხილებისა, რომ მისი დასწრება სხდომაზე აუცილებელი იყო/. დაინტერესებულ პირთა ჯგუფმა, კერძოდ საქართველოს მხედრიონისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რამდენიმე წევრმა ვაჟა ადამია იპოვეს რესტორან "თბილისში" და შესთავაზეს მას სხდომაზე წამოსვლა, მაგრამ ვაჟა ადამიამ მათ კატეგორიული უარი განუცხადა, რასაც მოჰყვა შეხლა-შემოხლა, რის შემდეგაც იგი ძალით ჩასვეს ავტომანქანაში, მიიყვანეს მერაბ კოსტავას ფონდის შენობაში /გრიბოედოვის ქ.№ 19/, აქ ვაჟა ადამიამ კვლავ განაცხადა პროტესტი დარბაზში შესვლაზე. ამჯერად მისთვის ძალა აღარ დაუტანებიათ და იგი წაიყვანეს თავის ბინაში. სხდომაზე მყოფ საზოგადოებას ამ ფაქტის შესახებ არაფერი გაუგია /სხდომის მიმდინარეობის დროს/.

დილის 5 საათზე ვაჟა ადამიამ მერაბ კოსტავას საზოგადოების შეიარაღებულ წევრებთან ერთად/დაახ. 25 კაცი/ ჩაიდინა ეროვნული კონგრესის და საერთოდ ეროვნული მოძრაობის საწინააღმდეგო ვანდალური აქცია. ჯერ შეიჭრნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინაში, ავტომატებით დაცხრილეს შენობა, იხმარეს ცეცხლგამჩენი ბოთლები, ფაშისტური მეთოდებით გაუსწორდნენ იქ მყოფ მორიგე ვაჟებს /თითოეული 18-19 წლის თუ იქნებოდა/. შტაბ-ბინიდან გაქრა ამომრჩეველთა სიები, განადგურდა საარჩევნო ბიულეტენები. ამის შემდეგ ისინი დაესხნენ სედპ შტაბ-ბინას, რომელიც ჯერ ავტომატებით იქნა დაცხრილული, რის შემდეგაც დაწვეს სამი ოთახი, ხოლო ასაფეთქებელი საშუალებით სრულიად გაანადგურეს გაზეთ "დროების" რედაქციის ოთახი, სადაც ინახებოდა საარჩევნო ბიულეტენები და პროკლამაციები, აგრეთვე "დროების" ბოლო ნომრის მაკეტი. ცეცხლმა გაანადგურა დამოუკიდებელი საქართველოს დროშა, სედპ დროშა და სულმნათი მერაბ კოსტავას სურათი.

დიდია მორალური და მატერიალური ზარალი. გაზეთ "დროების" რედაქცია ზარალის ანაზღაურებას აკისრებს ამ ვანდალური აქციის მომწყობთ, კერძოდ მერაბ კოსტავას საზოგადოებას და მის თავმჯდომარეს ვაჟა ადამიას, იმ პირობით, რომ არავითარ შემთხვევაში, ზარალის ანაზღაურება არ უნდა მოხდეს მერაბ კოსტავას ფონდის ხარჯზე.

რედაქციის გაკვირვებას იწვევს საქართველოს ოფიციოზის ჩაურევლობა ამ და სხვა ფაქტებში, კერძოდ საეჭვოდ მიგვაჩნია ე.წ. მთავრობის პოზიცია სახელმწიფო უშიშროების შენობის დარბევასთან დაკავშირებით. შექმნილი მდგომარეობა ხელს ხომ არ აძლევს მას "უფროსი ძმის" "გამშველებლის" როლში მოსახმობად.





მარი გიორგაძის ფოტოები

## სედპ-ს საგანგებო კრება

მიმდინარე წლის 31 აგვისტოს და 1 სექტემბერს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შტაბბინაში ჩატარდა სედპ საგანგებო კრება. კრებას თავმჯდომარეობდა მთავარი კომიტეტის წევრი თორნიკე ფიფია. კრებას ესწრებოდნენ მცხეთა-თბილისის პირველადი ორგანიზაციებისა და სედპ-ს რაიონული ფილიალების წარმომადგენლები - სულ 500 წევრი.

მოსმენილი და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: ორგანიზაციული საკითხები; რაიონული ფილიალების რეგიონალურ ორგანიზაციებში გაერთიანება; საინფორმაციო სამსახურის გაძლიერება; ეროვნული კონგრესის არჩევნებისთვის მზადება; საყოველთაო დაუმორჩილებლობის მომზადება.

კრებამ აგრეთვე მოისმინა რაიონული ორგანიზაციების წარმომადგენელთა გამოსვლები, ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის ზოგიერთი წევრების საკითხი; საკოორდინაციო საბჭოს წევრთა მოხსენებები. დაზუსტდა კონგრესის წევრობის კანდიდატთა პარტიული სია.

ძირითადი მოხსენებით გამოვიდა სედპ თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი. მან ილაპარაკა პარტიაში შექმნილი ვითარების შესახებ, კერძოდ იმაზე, რომ ბოლო დროს პარტიაში შესუსტდა პოლიტიკური მუშაობის დონე, მოიშალა დისციპლინა, რისი აღდგენაც პარტიისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია. მან აღნიშნა, რომ პარტიის თითოეულ წევრს უნდა ჰქონდეს კონკრეტული დავალება. პარტიის თავმჯდომარემ მიუთითა, რომ პარტიაში აუცილებელია სოციალური საკითხების ჯგუფის არსებობა, რომ უნდა გაძლიერდეს საინფორმაციო სამსახური.

კრებაზე დაისვა საკითხი რაიონული ორგანიზაციების რეგიონალურში გაერთიანების შესახებ. ეს საკითხი შემდეგნაირად გადაწყდა:

შიდა ქართლის რეგიონალურ ორგანიზაციაში გაერთიანდნენ მცხეთის, გორის, ხაშურის, ქსნის ხეობის რაიონები. ცენტრი - გორი /უნდა აღნიშნოს, რომ თითოეული რეგიონალური ორგანიზაციის ცენტრში შეიქმნება რეგიონალური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევლენ თითო-თითო წარმომადგენელი რაიონებიდან; კომიტეტს ეყოლება თავისი თავმჯდომარე/.

ქვემო ქართლის რეგიონალური ორგანიზაცია: რუსთავი, თეთრი წყარო, გარდაბანი, მარნეული. ცენტრი - რუსთავი.

კახეთის რეგიონალური ორგანიზაცია: საგარეჯო, თელავი, გურჯაანი, ახმეტა, ყვარელი. ცენტრი - თელავი /ქიზიყის რეგიონალურ ორგანიზაციაში გაერთიანების საკითხი კრებაზე არ გადაწყვეტილა/.

იმერეთის რეგიონალური ორგანიზაცია: ქუთაისი, ვანი, ბაღდათი, წყალტუბო, ტყიბული, თერჯოლა, ხარაგაული, ჭიათურა, საჩხერე, ონი. ცენტრი - ქუთაისი.

ეგრისის რეგიონალური ორგანიზაცია: მარტვილი, სენაკი, ჯვარი, გალი, ხობი, ზუგდიდი. ცენტრი - ზუგდიდი.

აჭარა - გურიის რეგიონალური ორგანიზაცია: ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ჩოხატაური, ლანჩხუთი. ცენტრი - ქობულეთი.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა ირაკლი ბათიაშვილი, რომელმაც გადაწყვიტა პარტიიდან გასვლა. მან აღნიშნა, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ აპირებს პოლიტიკური ბრძოლისთვის თავის განებებას. იგი კვლავაც აქტიურად ითანამშრომლებს სედპ-სთან, ხოლო მისი პარტიიდან გასვლის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ პიროვნულად იგი წინააღმდეგია ყოველგვარი პარტიულობისა.

სიტყვებით გამოვიდნენ პარტიის წევრები, რომლებმაც მრავალი კონკრეტული საკითხი დააყენეს. აღინიშნა, ისიც, რომ ადგილი აქვს სამანდატო კომისიის გარეშე პარტიის მანდატების გაცემას, რომ აუცილებელია პარტიის წევრთა ხელახალი ატესტაციის ჩატარება.

შეიქმნა სოციალური საკითხების ჯგუფი ამირან გეგენავას ხელმძღვანელობით.

კრებაზე აგრეთვე დაისვა საკითხი ზოგიერთ რაიონში შექმნილი რთული მდგომარეობის შესახებ, კერძოდ ახმეტის რაიონის შესახებ, სადაც "კომპარტმაფია" იმდენად ფლობს სიტუაციას, რომ სერიოზულ საშიშროებას უქმნის ეროვნულ მოძრაობას რაიონში. კრებამ გადაწყვიტა დამოუკიდებლობის პარტიის წევრების ახმეტის რაიონში წასვლის აუცილებლობა და იქ დიდი აქციის მოწყობა.

8 სექტემბერს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრები 8 ავტობუსით გაემართნენ ახმეტაში, სადაც გაიმართა მძლავრი მიტინგი. მიტინგის ძირითადი მიზანი იყო საქართველოს ეროვნული კონგრესის იდეის პროპაგანდა, აგრეთვე იქ, რაიონში შექმნილი მდგომარეობის გარკვევა. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ირაკლი წერეთელი, რომელმაც ახმეტის მოსახლეობას მოუწოდა ეროვნული კონგრესის არჩევნებში მონაწილეობის შესახებ, აგრეთვე რაიონში მცხოვრები სხვადასხვა ერების წარმომადგენელთა გაერთიანებისაკენ ეროვნული კონგრესის იდეის ქვეშ.

## გაზეთ „დროების“ რედაქციის განცხადება

მკითხველთა სამართლიან გულისწყრომას იწვევს ის ფაქტი, რომ არარეგისტრირებული პოლიტიკური ორგანიზაციების პრესა საკმაოდ ძვირი ღირს, ამიტომ შევეცდებით განვიმარტოთ საქმის ვითარება.

კომუნისტური პარტია ყოველნაირად ცდილობდა და ცდილობს ხელში არ ჩაუგდოს რადიკალურ-შეურიგებელ ოპოზიციას ინფორმაციის საშუალებები, ამიტომ იგი მაქსიმალურად უშლის ხელს მათი გაზეთების ოფიციალურ გამოცემას.

ჩვენ იძულებულნი ვართ ისინი გამოვცეთ არაოფიციალური გზებით, ამიტომ ყველაფერი თავისთავად უფრო ძვირი გვიჯდება. თავად განსაჯეთ - ქაღალდის შეძენა გვიხდება შავ ბაზარზე, ამას დაუმატეთ ბეჭდვის, გადაზიდვების, ჰონორარების, რეალიზაციის

/დასასრული მე-2 გვ/

/დასასრული/

...ხვა მრავალი ხარჯები.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თუ გაზეთი მცირეტირაჟიანია მისი ფასი მაღალია.

ცნობისთვის მოგახსენებთ, რომ გაზეთი "დროება" იბეჭდება 10-20 ათასი ტირაჟით, მაშინ, როცა საქართველოს კომპარტიას რამოდენიმე ოფიციალური მრავალათასიანი ტირაჟის გაზეთი გააჩნია.


## ყურადღება

კოოპერატივებსა და საწარმოებს შეუძლიათ თავიანთ საქმიანობას რეკლამა გაუწიონ გაზეთ "დროების" ფურცლებზე.

რედაქციის შენიშვნა: გაზეთის ერთ გვერდზე მოთავსებული რეკლამის ღირებულებაა /ერთი ეგზემპ./ - 30 კაპ.
1/2გვ. - 15 კაპ. 1/4გვ. - 7 კაპ. 1/8გვ. - 3 კაპ.


# საქართველოს ეროვნული კონგრესი და უზენაესი საბჭო

მრავალი მაგიდის პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა მემორანდუმში, რომელიც ა/წ 11 სექტემბრის გაზეთ "ახალგაზრდა ივერიელში" გამოქვეყნდა, გამოაცხადეს, რომ ისინი ეროვნული კონგრესის არჩევნებს მხარს არ უჭერენ, ვინაიდან: "მსოფლიოს იურიდიულ პრაქტიკაში დღემდე ვერ მოიძებნა პრეცედენტი ასეთი არაოფიციალური სტრუქტურების სამართალ-სუბიექტად ცნობისა საერთაშორისო სამართლის მიერ. ეს ყოველივე ძალზე თვალსაჩინოდ დადასტურდა ბალტიის ქვეყნების მაგალითზე. ამასთან, არაოფიციალური საეჭვო მაქინაციებით "არჩეული" ეროვნული კონგრესი შექმნის ორხელისუფლებიანობის, ეროვნულ მოძრაობაში ოფიციოზის ხელშემწყობი ანტიეროვნული მაფიოზური ძალების შემოჭრის და სამოქალაქო ომის საფრთხეს. ეს ყოველივე უკვე ნათლად იკვეთება ე.წ. კონგრესის მესვეურთა განცხადებებში, რომელნიც მოუწოდებენ კონგრესს არაოფიციალური შეიარაღებული ძალების შექმნისაკენ. ამის გამო კონგრესის იდეა მნიშვნელოვნად გაუფასურდა და ამჟამად მრგვალი მაგიდა აღარ უჭერს მხარს *მის არჩევას*". *შევეცდები თა*ნმიმდევრულად ვუპასუხო აქ წამოყენებულ მოსაზრებებს.

ჯერ ერთი, მსოფლიო იურიდიულ პრაქტიკაში მსგავს პრეცედენტს მართლაც ვერსად იპოვით, ვინაიდან თვით სსრ კავშირისთანა თვალთმაქცი და "არანორმალური" იმპერია ჯერ მსოფლიოში არ არსებულა. ყველგან და ყოველთვის დამპყრობს და დაპყრობილს თავისი სახელი ერქვა. საბჭოთა კავშირში კი დაპყრობილ საქართველოს კონსტიტუციით სუვერენული რესპუბლიკა ჰქვია, ხოლო მისი ხელისუფლების ორგანოებს "სახელმწიფო" ხელისუფლების ორგანოები. სწორედ ამიტომაა, რომ კრემლი ჯიუტად არ ცნობს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ყოველნაირად ცდილობს იგი მსოფლიოს თვალში ეთნოკომფლიქტებად წარმოაჩინოს. მეორეც, საერთაშორისო სამართლის სუბიექტია არა მხოლოდ დამოუკიდებელი სახელმწიფოები, არამედ ის ერებიც და ხალხებიც, რომლებიც იბრძვიან დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისათვის. თვით ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზეა დამოკიდებული შეძლებს თუ არა იგი, გახდეს საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, ანუ მისი ზრუნვის საგანი. ეს კი ორი მიმართულებით შეიძლება განხორციელდეს: კრემლის გავლით და კრემლის გავლის გარეშე. ე.ი. ან კრემლმა უნდა სცნოს ჯერ საქართველოს კოლონიური მდგომარეობა და დაიწყოს მისი დეოკუპაცია და ამის შემდეგ რა თქმა უნდა ცნობს საერთაშორისო სამართალიც, ან პირიქით, საკითხი დაისმება პირდაპირ საერთაშორისო სამართლის წინაშე და ეს უკანასკნელი აიძულებს კრემლს, დამოუკიდებლობა მიანიჭოს საქართველოს. ამისთვის კი უნდა არსებობდეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი რაღაც ორგანო, რომელიც ხალხის მიერ იქნება არჩეული /როგორიცაა ეროვნული კონგრესი/. პირველი მიმართულებით იმუშავებს უზენაესი საბჭო, მეორე მიმართულებით - ეროვნული კონგრესი.

ისმის კითხვა: თუ შეიძლება ერმა აირჩიოს ორი ორგანო, ორივე თავისი ნების გამომხატველი? შეიძლება და აუცილებელიცაა. ჩვენ რომ დღეს საერთაშორისო სამართლით და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით კოლონიურ ქვეყნად ვიყოთ ცნობილი, მაშინ ამდენი მანიპულაციები საჭირო აღარ იქნებოდა. წარმოიდგინეთ, ციხეში იჯდეთ და დოკუმენტაციით პატიმარი არ გერქვათ. ჩვენ როგორმე უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საქართველოს მიეცეს კოლონიური ქვეყნის, ხოლო მის უზენაეს საბჭოს - კოლონიური თვითმმართველობის ორგანოს სტატუსი. მხოლოდ ამის შემდეგ დადგება დეოკუპაციის საკითხი. ასეთ შემთხვევაში უზენაესი საბჭო კვლავ შეასრულებს იმ ფუნქციებს, რასაც აქამდე ასრულებდა. კერძოდ, კანონებს დამოუკიდებლად არც აქამდე სცემდა და ჯარი არც დღემდე ჰყოლია. იქნება კრემლთან დაქვემდებარებულ მდგომარეობაში /ხოლო შიგნით ფარულად რას გააკეთებს, ეს სხვა საკითხია/.

უზენაესი საბჭოს კარგი შემადგენლობა კი აუცილებელი იმიტომაა, რომ მას ეყოს გამბედაობა, იმოქმედოს კრემლის წინააღმდეგ. კერძოდ, განაცხადოს, რომ საქართველო არის ოკუპირებული და ანექსირებული ქვეყანა, ხოლო თვითონ, კოლონიური თვითმმართველობის ორგანოა. კრემლი რა თქმა უნდა კონტრშეკითხვასაც დასვამს: "გუშინ არჩეული იყავი საარჩევნო კანონით, რომლითაც უზენაესი საბჭო საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოა, დღეს კი თავს კოლონიური თვითმმართველობის ორგანოდ აცხადებთ". ასეთ შემთხვევაში კრემლი იურიდიულად რომ დამარცხდეს, წინასწარ, უზენაესი საბჭოს არჩევნების დროს საქართველოს მოსახლეობამ საარჩევნო ბიულეტინის უკანა მხარეზე უნდა გააკეთოს წარწერა: "კენჭს ვუყრი კოლონიური თვითმმართველობის ორგანოში". ეს კი იქნება იურიდიული საფუძველი იმისა, რომ უზენაესმა საბჭომ თავის მხრივ განაცხადოს: "მართალია საარჩევნო კანონით უზენაესი საბჭო საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოა, მაგრამ ხალხმა, იცის რა, რომ ეს ოკუპაციის ვითარებაში ფიქციაა, აირჩია იგი როგორც კოლონიური თვითმმართველობის ორგანო. უზენაეს საბჭოს შეუძლია განცხადება /თუ მიმართვა/ გააგზავნოს გაერთიანებულ ერებში და დაუგზავნოს სხვადასხვა სახელმწიფოთა მთავრობებსაც, მაგრამ ამას არავინ არ აღიარებს მანამ, სანამ თვით კრემლი არ ცნობს მას. საქართველოში დაიწყება აქტიური დაუმორჩილებლობის პროცესი, რათა კრემლი იძულებული გახდეს, ყურად იღოს საქართველოს უზენაესი საბჭოს განცხადება და რაიმე რეაგირება მოახდინოს მასზე, ან კარგი, ან ცუდი.

თუკი კრემლი და რუსეთი რაღაც სასწაულებრივად ისე გაჰუმანურდა და გადემოკრატიულდა, რომ შეაწუხა სინდისმა და აღიარა, რომ "მართლაც, 1921 წელს საქართველოს წინაშე დანაშაული ჩაიდინა და თანახმაა დაიწყოს მოლაპარაკება ჯარების გაყვანის შესახებ და არა აქვს რაიმე ქონებრივი პრეტენზიები", მაშინ ეროვნული კონგრესის აქტიური ჩარევა საჭირო აღარ აღმოჩნდება. მაგრამ ასეთი რამ კრემლისა და რუსეთის მხრიდან, შესაძლოა ვცდები, მაგრამ უტოპიად მეჩვენება. ჩვენ გულდამშვიდების საფუძველი არა გვაქვს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს და ვითვალისწინებდეთ იმ ვერაგობებს, რომლებიც რუსეთმა ერეკლე მეფის დროიდან დაწყებული, 1989 წლის 9 აპრილამდე ჩაიდინა.

საბჭოთა კავშირსა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს რომ ვაკვირდები, მეტად საშიში შთაბეჭდილება მრჩება. თითქოს, მსოფლიო მასშტაბის რაღაც ისლამური მაფია მუშაობს, რომელიც საბოლოოდ საქართველოსაც მოადგება. თუმცა, იგი შეიძლება უკვე დაიწყო მარნეულში მწვანე დროშების ფრიალითა და ე.წ. თურქი მესხების დაპირისპირებით. ძალზედ სახიფათოდ მწვავდება ვითარება სპარსეთის ყურეში, სადაც კრემლი აშკარად ორმაგ პოლიტიკას ეწევა. ლენინიზმის სახელით შეიძლება ისლამურმა ძალებმა აიღონ სადავეები ხელში. თვით ბ.ელცინიც შეიძლება თავიდან მოიშორონ. მოკლედ, ასე მგონია, კრემლი, საიდანაც რუსული შოვინისტური და ისლამური ქარი უბერავს, ყოველნაირად შეეცდება /და ცდილობს კიდეც/ საქართველო მეტად ვერაგულ მახეში გააბას. ამასთან, ერაყის მოქმედებების შედეგად შეიძლება მსოფლიოში ვითარება ისე გამწვავდეს, საბჭოთა კავშირში სისხლის ნიაღვარიც რომ დააყენონ, მსოფლიო ამისთვის ვერც მოიცლის და მასში ვერც ჩაერევა.

ღმერთმა ნუ ქნას, ჩემი ასეთი შემაშფოთებელი პროგნოზი გამართლდეს, მაგრამ მე მორწმუნე პიროვნება ვარ და ვგრძნობ, რომ მე-20 საუკუნის მიწურულს, საქართველოს კიდევ ერთხელ მოუხდება ქრისტეს რჯულის დაცვა, რათა საბოლოოდ დადგეს ნათელი. რაც დრო გადის, სულ უფრო სულიერი ხასიათის ხდება მსოფლიო ხალხების მოქმედებანი და მით უფრო ძლიერად დგება რწმენის საკითხი. ამისი არ გათვალისწინება დღეს პოლიტიკაში, უდიდეს შეცდომად მიმაჩნია. ამიტომ, ქართველმა ერმა თავისი მოქმედებისა და ბრძოლის პროგრამა ყველაზე უარეს მოსალოდნელობებზე უნდა გათვალოს, რათა წინასწარ მზად გვქონდეს ყველა ის გზა და მექანიზმი, რაც მანევრირების უკეთეს საშუალებას მოგვცემს.

იმ შემთხვევაში, როცა კრემლი ყოველნაირ ბლოკადაში მოაქცევს უზენაეს საბჭოს და ქართველ ერს, როცა აამოქმედებს პროვოკაციულ კერებს, რისი ნოყიერი ნიადაგიცაა საქართველოში არსებული სამხედრო ობიექტები, საკავშირო დაქვემდებარების ფაბრიკა-ქარხნები და სხვადასხვა სარწმუნოების მქონე მოსახლეობა, ეროვნული კონგრესი უკვე ფაქტებით დააფიქსირებს ყოველივე ამას, რასაც თვით უზენაესი საბჭოც დაემოწმება, და კრემლისაგან დამოუკიდებლად, ხალხის მიერ თავისუფალი არჩევნებით არჩეული ეროვნული კონგრესი უფლებამოსილი იქნება მოლაპარაკება აწარმოოს საერთაშორისო სამართლის ნებისმიერ დონეზე. ეროვნული კონგრესი ყველგან შევა წინადადებით, რომ საქართველო ნამდვილად ოკუპირებულია, მის ხელისუფლებას უკვე აღარაფერი აღარ ძალუძს და ქართველი ერი შველას ითხოვს. ამ შემთხვევაში საერთაშორისო სამართალი თვალს ველარ დახუჭავს /ვერც რომელიმე სახელმწიფო - აშშ-დან დაწყებული და ნამიბიით დამთავრებული/. მსოფლიო აშკარად დაინახავს რა, რომ ქართველი ერი შეუპოვრად და თანმიმდევრულად იბრძვის დამოუკიდებლობისათვის /პარალელურად საქართველოში განხორციელდება დაუმორჩილებლობის უწყვეტი პროცესის მშვიდობიანი ფორმები/, საერთაშორისო სამართალი იძულებული გახდება დაიწყოს ზემოქმედება კოლონიზატორზე /კრემლზე/, რომ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ერს მისცეს თავისუფლება. თუკი ეს არ მოხერხდა /რბილად რომ ვთქვათ, კრემლი გაჯიუტდა/, მაშინ, თანახმად 1960წ. 14 დეკემბრის დეკლარაციისა, კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, ასევე 1970 წლის და სხვა დეკლარაციების მიხედვით, გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს უფლება ენიჭება და ვალდებულია, ყველანაირად /მათ შორის ჯარებით/ დაეხმაროს თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს და ეს მას არ ჩაეთვლება იმპერიის /საბჭოთა კავშირის/ შინაურ საქმეებში ჩარევად.

ამრიგად, ეროვნულმა კონგრესმა /რომელიც მაცხოვრის სახელითა და მფარველობით უნდა აირჩეს/ და უზენაესმა საბჭომ ურთიერთ-შეთანხმებულად ისე უნდა იმოქმედონ, რომ როგორმე თავი დავაღწიოთ ამ არანორმალურ და სატანისტურ იმპერიას. რაც შეეხება ბალტიის ქვეყნებს, იქ ასეთი რამ არ მომხდარა. იქ რადიკალები სამწუხაროდ თავიდანვე უმცირესობაში იყვნენ და ახლა ხალხი სულ უფრო მათ მხარეზე გადადის. ხოლო პრუსკენესა და ლანდსბერგისს მოღალატეს უწოდებენ /ასევე სომხეთში ლ.ტერ-პეტროსიანს/, რადგან შეაჩერეს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მოქმედება. ასეთი რამ რომ აქაც არ მოხდეს, ფარატინა ქაღალდზე დამოუკიდებლობის გამოცხადება არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ და მარტო უზენაესი საბჭოს მეშვეობით ფონს ვერ გავალთ.

*ჩვენის აზრით, უსაფუძვლოა შიში ორხელისუფლებიანობის შესახებ. ჯერ ერთი, რეალური ხელისუფლება უზენაეს საბჭოს არა აქვს და ეროვნულ კონგრესს საიდან ექნება? მეორეც, ძალიანაც რომ მოინდომოს როგორც ეროვნულმა კონგრესმა, ისე უზენაესმა საბჭომ, რეალურ ხელისუფლებას ხელში ვერ აიღებს, ვინაიდან კრემლი როცა მოისურვებს, ორ-სამ რიგით ჯარისკაცს დააყენებს მთავრობის სახლის შესასვლელში და დეპუტატებს ან შეუშვებენ, ან არა, ვინაიდან შეასრულებენ არა უზენაესი საბჭოს (ან ეროვნული კონგრესის), არამედ საბჭოთა კავშირის მარშლის ბრძანებას.*

ეროვნული კონგრესი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანოა. თუ ეროვნული მოძრაობა "სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოში" შევიდა, ის პოლიტიკურად აღარ იარსებებს. თუკი სახელმწიფო გაქვს, რაღა უნდა გაათავისუფლო? ხელისუფლების ორგანოებში შესული ეროვნული მოძრაობის ნაწილი სინამდვილეში ამ მოძრაობის დესანტია და არა თვით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ეს უკანასკნელი ხელისუფლების გარეთ უნდა იყოს მანამ, სანამ მიღწეული არ იქნება სრული დამოუკიდებლობა.

როგორ უნდა მოქმედებდეს ეროვნული კონგრესი? პირველ რიგში მან უარი უნდა თქვას საკუთარი სამხედრო ძალის ყოლაზე. ეს არცაა ჩადებული ეროვნული ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციებში. თუმცა ეროვნული კონგრესის მომხრე ზოგიერთი პირი თვლის, რომ მას სამხედრო ძალაც უნდა ჰყავდეს. ეს გაუმართლებლად მიმაჩნია. ეროვნულ კონგრესს არ სჭირდება საკუთარი სამხედრო ძალა. ის პატრიოტული დაჯგუფებები, რომლებიც დღეს არსებობენ, ჩემი აზრით, ასევე უნდა არსებობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე და უნდა მოქმედებდნენ უზენაესი საბჭოსა და ეროვნული კონგრესის ურთიერთ შეთანხმებული გადაწყვეტილებების საფუძველზე. სხვათაშორის, მოსახლეობა რომ დამშვიდდეს და აღარ არსებობდეს მსგავსი საშიშროება, საჭიროდ ვთვლი, არჩევნების ჩატარებამდე, ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოს მომხრე პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის დაიდოს ხელშეკრულება, თუ რა მოვალეობასა და უფლებებს იღებს ეროვნული კონგრესი-ერთი მხრივ-და უზენაესი საბჭო - მეორე მხრივ.

ეროვნულმა კონგრესმა ასევე არ უნდა ჩამოაყალიბოს ხელისუფლების პარალელური სტრუქტურები. ეროვნული კონგრესი, ითანამშრომლებს რა უზენაეს საბჭოსთან, არსებულ სტრუქტურებს აუცილებლობის შემთხვევაში შეთანხმებულად შეცვლიან და გამოიყენებენ მათ ეროვნული დაუმორჩილებლობის პროცესის მომზადებისა და განხორციელებისათვის. ამ მიზნით უნდა შეიქმნას დარგობრივი თუ მიზნობრივი კომისიები /ეკონომიკის, პოლიტიკის, სამართლებრივი, სოციალური საკითხების, განათლების და ა.შ./, რომლებშიც პარიტეტულ საწყისებზე შევლენ პროფესიონალი პირები როგორც ეროვნული კონგრესიდან, ისე უზენაესი საბჭოდან. ისინი ერთობლივი განხილვა-შესწავლის საფუძველზე გადაწყვეტენ ყველა საკითხს.

პრეზიდენტის მმართველობა საქართველოში შემოღებული უნდა იქნას დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. მრავალპარტიული პარლამენტის არსებობა საკმარისი არაა. ჩემთვის გაუგებარია, თუკი პრეზიდენტი გვეყოლება, რაღა კოლონიური ქვეყანა ვიქნებით? როცა ეროვნული კონგრესი და უზენაესი საბჭო საერთო ძალისხმევით მიაღწევენ კრემლთან შეთანხმებას ჯარების გაყვანის შესახებ, ამის შემდეგ დაინიშნება ერთიანი საყოველთაო არჩევნები როგორც პრეზიდენტის, ისე ხელისუფლების ორგანოს ასარჩევად, რაშიც ყველა მიიღებს მონაწილეობას.

კრემლის იმპერიული მმართველობას, რა თქმა უნდა, არც მრავალპარტიული და მებრძოლი უზენაესი საბჭო აწყობს საქართველოში და არც ეროვნული კონგრესი, მაგრამ ამ ორი უსიამოვნებიდან, იგი პირველს უფრო ეგუება, რადგან კარგად უწყის, რომ საქართველოში ძლიერი შეურიგებელი ოპოზიციაც არსებობს და სხვა გზა არა აქვს. ეგუება იმ იმედით, რომ უზენაეს საბჭოს მაინც თავის ფრთის ქვეშ მოიქცევს როგორც იურიდიულად, ისე რეალურად. ეროვნული კონგრესი კი მის წინააღმდეგ ამოღებული ხმალია, რომელიც მანევრირებისა და "თავისუფლობანას" საშუალებას წუთითაც არ მისცემს. ამიტომ, უზენაესი საბჭო და ეროვნული კონგრესი, როგორც ფარი და მახვილი ისე უნდა ამოქმედდენ როგორც შინაური და გარეშე მტრის, ისე საერთაშორისო სამართლის წინაშე. ამით ამ უკანასკნელსაც ველარ ექნება გორბაჩოვისადმი კეკლუცობის საშუალება. ბრძოლის მხოლოდ ასეთი ტაქტიკითა და სტრატეგიით შევძლებთ მივაღწიოთ ნამდვილ დამოუკიდებლობას და წელგამართული შევხვდეთ ოცდამეერთე საუკუნეს. სწორედ ამიტომ დიდ შეცდომად მიმაჩნია, როგორც ეროვნული კონგრესის, ისე უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩაშლა. თუმცა ასევე აუცილებელია ისეთი შეურიგებელი ოპოზიციის არსებობაც, რომელიც უზენაეს საბჭოში არ შედის და მას პასიურ ბოიკოტს უცხადებს. სხვათაშორის, მე, პირადად, ადრე უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩაშლის მომხრე ვიყავი, მაგრამ მას შემდეგ რაც სპარსეთის ყურეში სახიფათო ვითარება შეიქმნა და რუსულ შოვინიზმთან ისლამური სამყაროს ფარული კავშირი, ჩემის აზრით, მეტად სახიფათო ხდება, იმ შემთხვევაშიც კი, ეროვნული კონგრესის არჩევნები რომ ჩაგვეშალოს, უზენაესი საბჭოს არჩევნების ბოიკოტის წინააღმდეგი ვიქნები, თუმცა მე პირადად უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობას არავითარ შემთხვევაში არ მივიღებ.

მოვუწოდებთ მთელ ქართველ ერს! რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ავირჩიოთ ეს ორი იურიდიული ინსტიტუტი: - ეროვნული კონგრესი, და უზენაესი საბჭო. ყველანაირ დათმობაზე უნდა წავიდეთ, ოღონდ ეს არჩევნები ჩატარდეს. თუკი მაინც მოხდა, რომ რომელიმე ვერ ავირჩიეთ, მომავალი, შეიძლება ითქვას, შეაჩვენებს ყველა მას, ვინც ქართველი ერი დააბნია და შეცდომაში შეიყვანა. მაგრამ მე ოპტიმისტი ვარ. რწმენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაძლევს იმედს, რომ თვით მაცხოვარი არ მოგვცემს უფლებას, გადამწყვეტ მომენტში თავი დავკარგოთ.

გთხოვთ ყველას, დიდი სიყვარულითა და თავმდაბლობით ხელი შეუწყოთ ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩატარებას საქართველოში.

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე და მფარველი მეტად რთულ და საპასუხისმგებლო ბრძოლის გზაზე.

იზოლდა ჭილაძე

ეკ.მეც.კანდ.თსუ დოცენტი, სიდპ წევრი

## აქცია თბილგვირაბმშენში

მიმდინარე წლის 21 და 22 აგვისტოს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თბილგვირაბმშენის პირველადი ორგანიზაციისა და თბილგვირაბმშენის სამმართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის ინიციატივით, თბილისის ვაგზლის მოედანზე ჩატარდა გრანდიოზული საპროტესტო აქცია მჯდომარე გაფიცვით.

მჯდომარე გაფიცვის მონაწილენი მოითხოვდნენ: თბილგვირაბმშენის საკავშირო დაქვემდებარებიდან გამოსვლას, როკის გვირაბზე აღდგენითი სამუშაოების შეწყვეტას, პარტიული კომიტეტის გაუქმებას, მიუსერაში გორბაჩოვის აგარაკის მშენებლობის შეწყვეტას, ადმინისტრაციის ზოგიერთი ხელმძღვანელის განთავისუფლებას და სხვადასხვა სოციალური საკითხის გადაწყვეტას.

აქციას ხელმძღვანელობდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თბილგვირაბმშენის პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე, შუქრი მეგრელიშვილი, რომელმაც თავის გამოსვლებში ღრმად გააანალიზა შემდეგი საკითხები:

1. დღევანდელი პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში;
2. როკის გვირაბის უარყოფითი მნიშვნელობა საქართველოში ეთნოკონფლიქტების პროვოცირებაში;
3. პარტიული კომიტეტის უარყოფითი დამოკიდებულება მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნებისადმი;
4. საქართველოს ეროვნული კონგრესი – გზა დამოუკიდებლობისაკენ.

აქციის ხელმძღვანელმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ეროვნული კონგრესის მნიშვნელობას საქართველოს ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და მოუწოდა აქციის მონაწილეებს აქტიურად დაუჭირონ მხარი საქართველოში ეროვნული კონგრესის არჩევნებს.

აქციის მიმდინარეობაში აქტიურად მონაწილეობდნენ და სიტყვებით გამოვიდნენ სედპ წევრები: გიორგი თვალავაძე და ამირან გეგენავა.

აქციამ, რომელსაც მხარი დაუჭირა მრავალმა პოლიტიკურმა პარტიამ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ დადებითად გადაჭრა თითქმის ყველა წამოყენებული მოთხოვნა:

1. შეწყდა აღდგენითი სამუშაოები როკის გვირაბზე;
2. შეწყდა მიუსერაში გორბაჩოვის აგარაკზე საგვირაბო და სამონტაჟო სამუშაოები;
3. პარტიულ კომიტეტს წინადადება მიეცა გამოაცხადოს თვითლიკვიდაცია და 25 სექტემბრამდე გამოანთავისუფლოს დაკავებული ოთახები;
4. გადაწყვეტის სტადიაშია თითქმის ყველა სოციალური საკითხი.

დასასრულს შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ მიმდინარე აქციას ჰქონდა ძალიან დიდი პოლიტიკური და მორალური მნიშვნელობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

უპირველეს ყოვლისა, მშრომელმა ხალხმა იმედის თვალით შეხედა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თბილგვირაბმშენის პირველადი ორგანიზაციის ფილიალს და მასიურად იწყო შემოსვლა, ხოლო ადმინისტრაციამ აშკარად იგრძნო ჩვენი ძალა.

მეორეც, გადაიჭრა მრავალი პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხი, რაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია დამოუკიდებელი საქართველოსათვის ბრძოლის გზაზე.

თ. მოდებაძე

## რუსთავის მე-3 კოლონიაში

რუსთავის მე-3 კოლონიაში ორი საინტერესო რამ იქცევს ყურადღებას, რაც ადამიანის სულიერ ამაღლებასთანაა დაკავშირებული.

კოლონიაში დგას ძეგლი, რომელიც მიუძღვნეს 1989 წლის 9 აპრილს და 1956 წლის 9 მარტს დაღუპულთა ხსოვნას. აქვე აშენდა ეკლესია, პირველი სსრკ კოლონიების სისტემაში. ძეგლის ავტორი და შემსრულებელია მექსიკელი ხორხე პორტილია, რომელიც სასჯელს საქართველოში იხდის, ძეგლი დადგმული იქნა 1989 წლის 24 სექტემბერს. 1990 წლის 7 იანვარს ძეგლი აკურთხა სასულიერო აკადემიის რექტორმა მამა გიორგიმ. 13 ივნისს ეკლესიას ეწვია სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

ძეგლი აბსტრაქტულია და გამოსახავს საქართველოს ტკივილს, ახალგაზრდების დაღუპვას და მომავალი თაობის თავისუფალ ცხოვრებას. ძეგლის კომპოზიციაში შედის ნიშა შანდლებით, რომელიც სალოცავის ფუნქციას ასრულებდა, კომპოზიციაში შედის აგრეთვე თავისუფალი საქართველოს და მექსიკის დროშები.

ხორხე პორტილიამ თავისი მოქმედებით, ბუნებითა და სიყვარულით საქართველოს მიმართ დაიმსახურა ჩვენი პატივისცემა და სიყვარული.

ხორხემ კოლონიაში შემოიტანა თავისუფალი აზროვნება, თავისი პატრიოტიზმით, სამშობლოს სიყვარულით თვალი აგვიხილა ჩვენც და ამით დაიმსახურა პატიმრების სი-



ყვარული.

ხორხე პორტილიამ ჩვენს ეკლესიას აჩუქა მე-18 საუკუნის წმინდა გიორგის ხატი, რომელსაც გაუკეთა წარწერა: "ქართველ ძმებს მექსიკელი ძმებისაგან". ამჟამად ხატი გადასვენებულია საქართველოს საპატრიარქოში.

ეკლესია მოქმედებს. მის საქმიანობას ხელმძღვანელობს პატიმარი დავით ჩუტკერაშვილი, რომლის მოღვაწეობაც ცნობილია საქართველოს საპატრიარქოში. ეკლესია ეხმარება ინვალიდებს და უპატრონო პატიმრებს, ჩუტკერაშვილმა ურთიერთობა დაამყარა ამერიკის, მექსიკის, გერმანიის და რუსეთის საპატრიარქოებთან. მან შექმნა ნაშრომი რელიგიურ თემაზე. ამჟამად იგი მუშაობს ახალ ნაშრომზე, რომელსაც ეწოდება – "მღვდელი კოლონიაში". ეს ნამუშევარი იქნება მეთოდური სახელმძღვანელო კოლონიაში მოღვაწე ღვთისმსახურთათვის. 21 ივნისს, დავითის ინიციატივით მოხდა აფხაზი და აჭარელი პატიმრების მასიური ნათლობა მამა გიორგის მიერ.

ჩვენი ეკლესია მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კოლონიის მხატვრების მიერ შექმნილი ხატები დასვენებულია რუსთავის ეკლესიაში, აგრეთვე გაგზავნილია ამერიკაში, გერმანიაში, მექსიკაში და რუსეთის საპატრიარქოში. თვით ჩუტკერაშვილი ატარებს ღვთისმსახურის სახელს, მას მიეცემა [illegible] მამა გიორგიმ უკვე დაიწყო მისი მომზადება სასულიერო აკადემიისთვის.

ეკლესიის საქმიანობაში ჩაერთო პატიმარი გიორგი მიქელიშვილი. იგი მხარში ამოუდგა დავით ჩუტკერაშვილს და მასთან ერთად ამოქმედდა ეკლესია.



უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელი არ შეუშლია ძეგლის მშენებლობისთვის და კოლონიაში რელიგიური კანონის ძალაში შესვლამდე დაუშვა ეკლესიის მშენებლობა.

პატიმართა ჯგუფი

## საფეხბურთო ციებ-ცხელება

უკვე ბევრი დაიწერა თბილისის "იბერიის" გუნდის პრესკონფერენციის შესახებ, რომელიც 21 აგვისტოს გაიმართა დილმის ბაზაზე. ზოგმა ისინი მოღალატეებად, შადიმანებად მონათლა, ზოგმა შათდამი უფრო ლიბერალურ კრიტიკას მიმართა, ხოლო რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს გაზეთმა "ოლომ", რომელიც ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი იყო საერთოდ რაღაც გაურკვეველი, ცენტრისტული პოზიცია დაიჭირა, არადა მაშინ, როდესაც ეროვნულ ჩემპიონატს საფრთხე დაემუქრა სწორედ მათ უნდა აღემაღლებინათ ხმა, მაგრამ... საზოგადოებრიობის დაწოლის შედეგად "იბერიელები" იძულებულნი შეიქნენ უკან დაეხიათ, მაგრამ, ჩემის აზრით, ღრმად სცდება ყველა ის, ვინც ფიქრობს, რომ პრობლემა საბოლოოდ გადაწყდა, ღმერთმა უწყის გუნდის ხელმძღვანელობა როდის წამოიწყებს ახალ, შორსგამიზნულ, სეპარატისტულ აქციას.

21 აგვისტოს პრესკონფერენციის საკავშირო მასშტაბით გახმაურებაში კი, რაღა თქმა უნდა, მთავარი წვლილი გაზეთ "ზარია ვოსტოკას" და მის კორესპონდენტს ზურაბ ტაბატაძეს მიუძღვით. თავისთავად, როგორც ყოველივე ახალს, ისევე ეროვნულ ჩემპიონატსაც აქვს თავისი ნაკლოვანი მხარეები, მაგრამ რა საჭირო იყო მსგავსი წერილის რუსულენოვან გაზეთში გამოქვეყნება და ამდაგვარად ჩვენი შინაური პრობლემების ოჯახს გარეთ გატანა. აკი ცენტრალურმა გაზეთებმა: "იზვესტიამ", "კომსომოლსკაია პრავდამ", "ფუტბოლმა" და საკავშირო ტელევიზიამაც არ დააყოვნეს და მთელს ქვეყანას ამცნეს – არიქა, ხედავთ, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი იშლებაო. და ეს მაშინ, როდესაც სწორედ საკავშირო ჩემპიონატის ჩატარება დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ.

ვფიქრობ "იბერიის" ფეხბურთელები ელემენტარულად ვერ ერკვევიან შექმნილ სიტუაციაში, რადგან ყველაფერ ეროვნულს რომ თავი დავანებოთ, თუ რეალურად შევხედავთ სურათს სწორედ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობაა მათთვის ფინანსური კეთილდღეობისა და საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის საიმედო გარანტი, ვინაიდან კრახის პირას მისული ფეხბურთის საკავშირო ფედერაცია მალე უძლური იქნება ეროვნული ფედერაციების წინაშე, იგი ველარ შესძლებს კიდევ დიდხანს განაგრძოს საქართველოს საფეხბურთო ბლოკადა და მაშინ საქართველოს ექნება უფლება თავისი ეროვნული გუნდები გამოიყვანოს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, ოლიმპიურ თამაშებზე, ამასთანავე, სულ ცოტა, სამი გუნდის წარდგენა მაინც შეგვეძლება უეფას ტურნირებზე. ახლა განვსაჯოთ რა სჯობია – ორი ან სამი წელი ბლოკადაში ყოფნა, თუ სამუდამოდ იმპერიული ჩემპიონატით შემოფარგვლა, რომელიც უკეთეს შემთხვევაში უეფას ტურნირზე ერთი გუნდის გაყვანის საშუალებას მოგვცემს? თუმცა მოდით ნუ ვიქნებით ესოდენ მკაცრნი ფეხბურთელების მიმართ, ნუ დაგვავიწყდება, რომ მათი კარიერა არც თუ ისე ხანგრძლივია და სხვა რაიმე პროფესიას ისინი პრაქტიკულად არ ფლობენ, სწორედ ფეხბურთით უნდა უზრუნველყონ მათ თავიანთი მომავალი. მაგრამ იმის იმედიც ნუ ექნება ვინმეს, რომ სსრკ ჩემპიონატში დაბრუნებით გადაწყდება მაყურებლის პრობლემა, ჯერ ერთი ეროვნულ პოზიციებზე მდგომი გულშემატკივრები, რომლებიც ფეხბურთის ქომაგთა აბსოლუტურ უმეტესობას შეადგენენ აღარ ისურვებენ სტადიონზე სიარულს, ან რომც მოვიდნენ ვის უყურონ – ვინც სსრკ-ში კარგი ფეხბურთელი იყო თავს უშველა საზღვარგარეთ წასვლით /მიხაილიჩენკო, ი.სავიჩევი, დობროვოლსკი, კუზნეცოვი, პროტასოვი, გერლუკოვიჩი, ალეინიკოვი, დასაევი, ჩერედნიკი, გოცმანოვი, ჩერენკოვი, როდიონოვი, ბოროდიუკი, ლიუტი, პასულკო, ბალტაჩა/ ვინც დარჩა, ისიც მალე წავა, ხოლო ვისაც კონტრაქტი გაუუქმდა ან დაუმთავრდა ცოცხალი თავით უკან აღარ ბრუნდება /სიდიატულინი, ზავაროვი, ბელანოვი/. საინტერესოა, მაშინ, როცა ყველა თავქუდმოგლეჯილი გარბის სსრკ ჩემპიონატიდან ჩვენს "იბერიელებს" იქ, უკან რაღა მიარბენინებთ?! მაგრამ ვფიქრობ ისინი მალე გაერკვევიან არსებულ სიტუაციაში და გამოიტანენ სწორ დასკვნებს, ხოლო მათ, ვინც კვლავ დადგება ძველ პოზიციებზე, ყოველგვარი მოღალატის იარლიყის მიკერების გარეშე უნდა მივცეთ ეროვნული ჩემპიონატის დატოვების საშუალება, ოღონდ, როდესაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გაწევრიანდება უეფასა და ფიფაში მათ აღარ ექნებათ ეროვნულ გუნდებში გამოსვლის არავითარი მორალური და ზნეობრივი უფლება. დროა მიხვდეს ყველა, რომ მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატზე გადის გზა სანუკვარი მიზნისაკენ. და ამ გზაზე ყველამ უნდა გასწიოს ის ჭაპანი, რომელიც მას ისტორიამ და მამულმა დააკისრა.

ალბათ უპრიანი იქნება, ეროვნული და ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე, გუნდი გათავისუფლდეს ცენტრალური და რესპუბლიკური "დინამოს" საბჭოებისა და სუკის დაქვემდებარებიდან და იგი გადაეცეს ქალაქის მუნიციპალიტეტს.

დღეს კოლოსკოვის გუნდი აშკარად გრძნობს საკავშირო ჩემპიონატის ჩაშლის საშიშროებას და ცდილობს მიიღოს კონტრზომები, კერძოდ, უკვე დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სსრკ ჩემპიონატის ნაცვლად ჩატარდეს რესპუბლიკის ჩემპიონატთა ჩემპიონატი. სწორედ ამაზეა ნათქვამი წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო. ჩემის აზრით, ტაქტიკურ-სტრატეგიული მოსაზრებიდან გამომდინარე, სსრკ ჩემპიონატში მონაწილეობა, /ოღონდ თუ მას დაერქმევა სსრკ-ს ღია ჩემპიონატი/ რესპუბლიკის ჩემპიონატის პარალელურად, დასაწყისისათვის შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საკავშირო ფეხბურთის ფედერაცია სცნობს საქართველოს ფეხბურთის ეროვნულ ფედერაციას, რითაც გზა გაგვეხსნება საერთაშორისო ასპარეზზე გასასვლელად. ჯერჯერობით კი მოვლენების დაჩქარება, ჩვენგან დამოუკიდებელ პირობებზე, კერძოდ კი ალბათ იმაზეა დამოკიდებული, თუ როდის გადადგამს უკრაინისა და სხვა რესპუბლიკების ფეხბურთის ფედერაციები საქართველოს ფედერაციის ანალოგიურ ნაბიჯს. იქამდე კი ყველამ ერთად შევუწყოთ ხელი ეროვნული ჩემპიონატის დონის შემდგომ ამაღლებას.

**P.S.** ეს პუბლიკაცია უკვე დასაბეჭდად იყო გადაცემული, როდესაც გაზეთებმა "ფუტბოლმა" და "სოვეტსკი სპორტმა" სრულად გადაბეჭდეს ზურაბ ტაბატაძის წერილი. "სოვეტსკი სპორტში" ზემოთ აღნიშნულ პასკვილთან ერთად დაიბეჭდა ვილნიუსის "ჟალგირისის" მწვრთნელის ზელკიავიჩუსისა და ლიტვის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელის დირმეიკისის წერილები, რომლებშიც ისინი გმობენ ლიტვის ფეხბურთის ფედერაციის საკავშირო ფედერაციიდან გასვლის თაობას. ეს აქცია მიმართულია იქით, რომ უკრაინის ფეხბურ-

/ დასასრული მე-4 გვ./

/ დასასრული /

თის ფედერაციას, რომელსაც რესპუბლიკის საზოგადოებრიობა და "რუხი" მოუწოდებს საკავშირო ჩემპიონატიდან გამოსვლას, აჩვენოს, რომ მასაც იგივე მოელის, რაც საქართველოსა და ლიტვის ფედერაციებს. იმ შემთხვევაში, თუ ბრძოლის ეს რაუნდი ცენტრის სასარგებლოდ დამთავრდა, მთელი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს "იბერიის" გუნდის ხელმძღვანელებს, ხოლო თვით ფეხბურთელებმა უნდა შეიგნონ ის, რომ მათ უნებლიედ გააკეთეს ანტიეროვნული საქმე.

ვაჟა ძუწთელია

## ინფორმაცია

"ინტერფაქსის კორესპონდენტი თბილისიდან გვატყობინებს თუ რა მოვლენები უსწრებდა წინ ლენინის ძეგლის აღებას მისივე სახელობის მოედანზე.

27 აგვისტოს ღამით "მრგვალი მაგიდის" ასოციაციის ორი ათასამდე წევრმა ლენინის ძეგლს ბენზინი მიასხა. დაწვეს ავტოსაბურავები და შეეცადნენ ტრაქტორის საშუალებით დაენგრიათ მისი საფუძველი. ღამის ორ საათზე ეს მოქმედება აღკვეთილ იქნა სამართალდამცავი ორგანოების მიერ. ამის შემდეგ ქალაქის აღმასკომმა სასწრაფო გადაწყვეტილება მიიღო "რესტავრაციის" საბაბით ძეგლის აღების შესახებ. საქართველოს დედაქალაქში ლენინის ძეგლი აღებულ იქნა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ქალაქკომის პირველმა მდივანმა და ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ ნიკოლოზ ლეკიშვილმა განაცხადა, რომ მიღო გადაწყვეტილება ლენინის ძეგლის აღების თაობაზე. მისი სიტყვებით ეს ღონისძიება რესპუბლიკის კომპარტიასთან არ იყო შეთანხმებული. ლეკიშვილმა აღნიშნა, რომ ლენინის ძეგლი თბილისში გაიხსნა 1956 წელს, მას შემდეგ რაც დახვრეტილ იქნა თბილისელი ახალგაზრდები. ისინი პროტესტს აცხადებდნენ პარტიის მე-20 ყრილობაზე ხრუშჩოვის გამოსვლის მიმართ, რომელიც სტალინის წინააღმდეგ იყო მიმართული. ლეკიშვილმა ისიც აღნიშნა, რომ მოედნის სახელწოდება, საიდანაც ლენინის ძეგლი იქნა მოცილებული ჯერჯერობით შერჩეული არ არის, თუმცა არის წინადადება, მას საზოგადოების აზრის გათვალისწინებით "თავისუფლების მოედანი" ეწოდოს.

საბოლოოდ ლეკიშვილმა სურვილი გამოთქვა, რომ ქალაქის საბჭოს უახლოეს სესიაზე დააყენოს საკითხი, თუ როგორ გაემიჯნოს ქალაქის საბჭოს თავმჯდომარისა და ქალაქკომის პირველი მდივნის თანამდებობები.

### თბილისის მსგავსად

რიგაშიც, ოფიცერთა სახლთან გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომლის მონაწილეებმა მოითხოვეს შენობის მუნიციპალური მმართველობისათვის გადაცემა. რიგის ამ ოკუპაციამდელ შენობაში, რომელიც სახალხო შემოწირულობებით იყო აგებული, მოთავსებული იყო ლატვიის კულტურული საზოგადოება.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, სადაც აღნიშნულია, რომ ლატვიის საზოგადოებრიობის სახლი აგებულია 1940 წლამდე და ე.წ. საკავშირო საკუთრებას არ წარმოადგენს.

მიტინგი გარეკილი იქნა მწვანე მუნდირიანი ადამიანების მიერ. არიან დაზარალებულები.

### ბულგარეთი და ნატო

ახლახან ბულგარეთში სამხედრო სამსახურის ვადა 24 თვიდან 18 თვემდე შემცირდა. ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა ჯუროვმა განაცხადა, რომ შესაძლებელია ამ ვადის კიდევ უფრო შემცირება. მან არ გამორიცხა ბულგარეთის ნატოს სამხედრო კავშირში შესვლის შესაძლებლობა. მისი აზრით მოვლენების ამ მიმართულებით განვითარება დამოკიდებულია შეიარაღების შემცირების თაობაზე ვენაში მიმდინარე მოლაპარაკების შედეგებზე.

## კროსვორდი



ჰორიზონტალურად:
3. თანამედროვე თეატრში პარტერის უკან თანდათან ამაღლებული დასაჯდომი; 7. ძალიან წვრილი კიბო, გვხვდება მტკნარ წყლებში, წყლის ტილი; 9. სრული მარცხი; 10. საბჭოთა იმპერიის მიერ ოკუპირებული ერთერთი რესპუბლიკა; 12. მტაცებელი ფრინველი; 13. ჭიდაობა ძიუდოში ქულა ილეთის შესრულებისთვის; 14. კარტის გარკვეული კომბინაცია პრეფერანსის თამაშში; 15. თბილისის ერთ-ერთი უბანი; 16. დღევანდელი ისრაელის სახელმწიფო ენა; 19. საუკეთესო, სამაგალითო, სრულყოფილი; 21. ერთ-ერთი მიმდინარეობა რუსულ ლიტერატურაში XX საუკუნის დასაწყისში; 24. ხელობა, საქმიანობა, სპეციალობა, რომელსაც გარკვეული მომზადება სჭირდება; 26. ხილი; 28. თვე; 30. სამი კაცისაგან შემდგარი ვოკალური ჯგუფი; 31. რაიმე ეკონომიური ან პოლიტიკური მიზნის მისაღწევად წამოწყებული მოქმედება; 32. ცირკის მოედანი, სადაც ნახერხია მოყრილი; 33. ქალაქი საქართველოში; 34. ქალაქი აზერბაიჯანში; 36. დიდი ზომის გარეული ფრინველი; 38. მზის სისტემის ერთ-ერთი დიდი პლანეტა; 40. ერთგვარი კანფეტი; 41. ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული; 42. მიკროსკოპიული ერთუჯრედიანი ცხოველი, ცხოვრობს წყალში; 43. ინკრუსტაციის ერთ-ერთი სახე-ხეში ჩასმული სხვადასხვა ფერის ხისავე ფირფიტებით შექმნილი გამოსახულება; 44. ქირურგიული ჩარევა ზოგი დაავადების ან ჭრილობის სამკურნალოდ; 47. ძალად შექმნილი დაბრკოლება ქუჩებში ბრძოლის საწარმოებლად; 49. ღვინისა და დროსტარება-მხიარულების ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 51. მესაქონლეობის მსხვილი ფერმა ლათინურ ამერიკაში 53. ძველებური უკრაინული სიმებიანი საკრავი; 54. ცხრასაფეხურიანი ინტერვალი: - მუსიკალური გამის მეცხრე საფეხური; 55. დამახასიათებელი აქცენტი; 56. მაჰმადიანთა სულიერი წინამძღოლი, მოძღვარი; 57. რისამე დაწესებული რაოდენობა; 58. ადგილი უდაბნოში, სადაც წყალია და ამის გამო მცენარეულობა ხარობს; 61. უგულებელყოფა.

ვერტიკალურად:
1. პორტის მტვირთავებისა და მეზღვაურების მეტყველებაში: "ასწიე! ზევით!"; 2. გლეხკაცის სამუშაო იარაღი; 3. მალარიის საწინააღმდეგო სინთეზური პრეპარატი, ქინაქინის შემცვლელი; 4. გარემოსთან, ადამიანებთან ურთიერთობის საშუალების მოსპობა; 5. კათოლიკური მონასტრის მამათა წინამძღვარი; 6. სიგრძის საზომი ერთეული; 7. ყველის შესანახი თიხის ჭურჭელი; 8. ალ.დიუმას რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი; 9. რკინის ქუდი, ზუჩი, ჩაჩქანი; 11. ბიბლიური პერსონაჟი; 17. ძველებური ხემიანი მუსიკალური საკრავი, ვიოლინოს წინაპარი; 18. ქამარი; 19. რომელიმე დიდი მსახიობის გასტროლების მომწყობი პირი; 20. მომცრო ცხოველი აქლემების ოჯახისა; 22. ძველებური ფრანგული ოქროსა და ვერცხლის ფული; 23. დაბალი სიხშირის რხევები, რომლებსაც ადამიანის ყური ვერ აღიქვამს; 24. ექიმის მეთვალყურეობაში მყოფი პირი; 25. აზრის არაპირდაპირი ხერხებით, იგავურად გამოხატვა მხატვრულ ლიტერატურაში; 26. ცხენოსანი მწყემსი ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთში; 27. ხარკი, რომელსაც ძველად მონღოლები ახდევინებდნენ დაპყრობილ ხალხებს; 28. გრძელი ფართო წამოსასხამი; 29. დიდი გრძელკუდა ხვლიკი: ცხოვრობს უპირატესად ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში; 35. ერთხმიანი ლირიკულ-დრამატული შინაარსის ვოკალური ნაწარმოები ოპერაში; 37. ბალახოვანი დეკორაციული მცენარე; აქვს იისფერი, წითელი ან თეთრი უსუნო ყვავილი; 38. ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გათხოვილი ქალისადმი მიმართვა და ხსენება; 39. მემამულე, ფეოდალი ბატონი თურქეთში და აღმოსავლეთის ზოგ სხვა ქვეყნებში; 45. ხარისხი, თანრიგი, სპეციალური წოდება; 46. აზოტისა და წყალბადის ნაერთი, რომელიც ბუნებაში თავისუფლად არ მოიპოვება და შედის სხვადასხვა მარილის შემადგენლობაში; 47. ბარონის ცოლი ან ქალიშვილი; 48. ერთგვარი მეტისმეტად შხამიანი გველი; 49. ერთგვარი აზარტული თამაში; 50. თვალის ფერადი გარსი; 52. თეთრი თიხა, რომლისაგანაც ჭურჭელს ამზადებენ; 53. ტყავის შემცვლელი მკვრივი ქსოვილი; 59. მრავალწლოვანი ტროპიკული ან სუბტროპიკული მცენარე; აქვს ხორციანი მოგრძო კიდეეკლიანი ფოთლები; მის წვენს იყენებენ მედიცინაში; 60. ინდოეთში და სხვაგან: ქალის სამოსი, გრძელი ქსოვილი, რომელსაც გარკვეული წესით იხვევენ ტანზე.

## II საგანგებო კონფერენცია

ამა წლის 24 სექტემბერს ფილარმონიის დიდ დარბაზში საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ინიციატივით მოწვეული იქნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის II საგანგებო კონფერენცია რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა შექმნილ დაძაბულ ვითარებაში საბოლოო გარკვევა. სამწუხაროდ კონფერენციაზე არ დამოცხადნენ მრგვალი მაგიდის წარმომადგენლები. სიტყვებით გამოვიდნენ: ნოდარ ნათაძე, ირაკლი წერეთელი, გიორგი ჭანტურია, თემურ სუმბათაშვილი, ნოდარ ... ნათაძე, აკაკი ბაქრაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ედუარდ შენგელია, ლუიზა შაკიაშვილი, ირინა სარიშვილი, რევაზ ესაძე, ირაკლი ბათიაშვილი, ირაკლი კაკაბაძე, გიორგი ჟორჟოლიანი, რეზო ჩხეიძე და სხვები.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია:

ვინაიდან ქართული ერი იბრძოდა, იბრძვის და იბრძოლებს სრული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის,

ვინაიდან დამოუკიდებლობის მისაღწევად აუცილებელია საბჭოური სტრუქტურების დემონტაჟი და საკუთარი დემოკრატიული სტრუქტურების შენება / რაც არ ნიშნავს იმას, რომ ეროვნული მოძრაობის "ზომიერმა" ნაწილმა არ გამოიყენოს არსებული სტრუქტურები ჩვენი საერთო მიზნის მიღწევისათვის /;

ვინაიდან საბოლოოდ გამოიკვეთა კრემლის გეგმა საქართველოსთან დაკავშირებით / ყველა ოკუპირებულ და ანექსირებულ ქვეყნებთან დაკავშირებით/;

ვინაიდან "მრგვალი მაგიდამ" უკვე მერამდენედ უარი განაცხადა შეურიგებელ და ლიბერალურ ოპოზიციასთან შეხვედრაზე...

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე საგანგებო კონფერენციაზე მოსმენილ იქნა მთელი რიგი მოხსენებები და განცხადებები, რის საფუძველზეც აღვნიშნავთ:

1. ქართველი ერის ბრძოლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის გრძელდება. ეროვნულმა მოძრაობამ დღეს, ფაქტიურად, მოიცვა სრულიად საქართველო. ეროვნული მოძრაობის ორივე ფრთა-რადიკალური და ლიბერალური-გაერთიანებულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრში. საკოორდინაციო ცენტრის კარები ღიაა ყველა ეროვნული ძალისათვის და ის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც შეგნებით, ყოველგვარი მოტივის გარეშე, არ ერთიანდება საკოორდინაციო ცენტრში და ებრძვის მას, ფაქტიურად ებრძვის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მთლიანად:

2. ეროვნული კონგრესის არჩევნებში მონაწილეობის მიღება ყველა ქართველის, საქართველოს ყოველი მცხოვრების მოქალაქეობრივი ვალია. ეროვნული კონგრესი არის ის ორგანო, რომელიც იქნება ერის ნების ერთადერთი გამომხატველი, რაც მას საშუალებას მისცემს, წინ აღუდგეს კრემლის გეგმას საქართველოსთან მიმართებით, საერთაშორისო სამართალზე დაყრდნობით დასავლეთში დააყენოს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი, უხელმძღვანელოს ეროვნულ მოძრაობას და ქართველი ერი მიიყვანოს საბოლოო გამარჯვებამდე:

3. უზენაესი საბჭოს არჩევნებს ეროვნული მოძრაობის რადიკალური ნაწილი კვლავინდებურად ბოიკოტს უცხადებს, საკოორდინაციო ცენტრის ლიბერალური ნაწილი კი უზენაესი საბჭოს არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ითანამშრომლებს ეროვნულ კონგრესთან ქართველი ერის ინტერესებიდან გამომდინარე:

4. საქართველოს ეროვნული მოძრაობა გმობს კრემლის გეგმას, საქართველო შეიყვანოს განახლებულ "ფედერაციულ" თუ "კონფედერაციულ" იმპერიაში. ქართველი ერისთვის მიუღებელია მონობის ერთი ფორმის მეორეთი შეცვლა, ის იბრძვის სრული დამოუკიდებლობისათვის:

5. მერაბ კოსტავას სახელობის საადგილმამულო ფონდის დეპოლიტიზაცია უახლოეს მომავალში უნდა განხორციელდეს. ეს ფონდი უნდა გამოვიდეს ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაციის კონტროლიდან. ამ ფონდს უნდა უხელმძღვანელონ ინტელიგენციის იმ თვალსაჩინო წარმომადგენლებმა, რომლებიც არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრები არ არიან:

6. "მრგვალი მაგიდის" პოლიტიკურ ორგანიზაციათა მოუსვლელობა მეორე კონფერენციაზე შეფასებულია, როგორც სიტუაციის შემდგომი დესტაბილიზაციის მცდელობა:

7. დაიგმოს ამა წლის 19 სექტემბერს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შტაბბინების დარბევის, ასევე, ძალადობის სხვა ფაქტები:

8. 1-ლ ნოემბრამდე მაინც შეწყდეს ურთიერთდაპირისპირება / პრესით, ტელევიზიით და ა.შ. /. საკოორდინაციო ცენტრი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს "მრგვალი მაგიდის" საწინააღმდეგოდ, თუკი ეს უკანასკნელი პირველი დაესხმება თავს საკოორდინაციო ცენტრს.

ყველა პრობლემა უნდა გადაიჭრას პოლიტიკური გზით და შენარჩუნებულ უნდა იქნას მშვიდობა, რადგან მშვიდობის გარეშე შეუძლებელია საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ჩვენი სამართლებრივ-პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელება.



გუმბარიძე-ელცინის "სამოკავშირეო ლამბადა"



დროება

რედაქტორი - კოტე ჩოგოვაძე
ტექნიკური რედაქტორი - ვაჟა ძუწთელია

ფოტოკორესპონდენტები: ლევან ხერხეულიძე, გიორგი ედილაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ემზარ კახიძე, მარიამ თურმანიძე, ლალი ძევხიშვილი, გოგიტა მელიძიძე, გურამ სიხარულიძე, იზოლდა ჭილაძე

მისამართი: თბილისი, 380008 რუსთაველის გამზ. № 29
93 70 21